# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 218. ხუთშაბათი, 13 მაისი 1904 წ. გაზეთის № 2494.




გამოჩენილი მოგზაური სტენლი (ახლად გარდაცვლილი) და სურათები მის მოგზაურობიდან.



† მაურუს იოკაი
უნგრელთა მწერალი.



კაპიტანი ხიროზე

## გ ზ ა შ ი

ან. ჩეხოვისა

(შემდეგი*)

ილოვაისკაიამ განაგრძო:

— ამბობენ, ღმერთი არ არისო, მაგრამ ერთი მითხარით, რისაგან არის, რომ ყველა გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადოთ ყველა ჭკვიანი კაცი ბოლოს მაინც ღმერთს იწამებს ხოლმე?

— ვისაც ახალგაზრდობაში არა სწამდა, ის, თუ გინდ გენიოსიც იყოს, არც სიბერის დროს იწამებს.

ლიხარიოვს ხველაში ეტყობოდა, რომ ბანი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ხმადაბლა ლაპარაკისა, ან გადამეტებულ მორცხვობისა გამო წვრილის ხმით ლაპარაკობდა. ხან-მოკლე სიჩუმის შემდეგ ამოიოხრა და განაგრძო:

— მეც მესმის, რომ რწმენა სულის ნიჭია. რწმენა იგივე ნიჭია. კაცს რწმენა დაბადებითვე უნდა დაჰყვეს. ჩემი თა-

ცების დაკვირვებიდან, რომელთაც ჩემ სიცოცხლეში შევხვედრივარ და ყველა იმიდან, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, ვიცი, რომ ეს ნიჭი რუსის ხალხს ძალიან ჰყვება. რუსეთის ცხოვრება განუწყვეტელ რწმენასა და გატაცებას წარმოადგენს, და, თუ გინდათ იცოდეთ, ურწმუნოებისა ან უარყოფისათვის ჯერ არც კი უსუნებია. თუ რუსს ღმერთი არა სწამს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმას სხვა რამე უნდა სწამდეს.

ლიხარიოვმა ილოვაისკაიას ჩაით სავსე ჭიქა ჩამოართვა, ერთ ჯერად ნახევარი შესვა და ისევ განაგრძო: — ჩემ თავზე გეტყვით: ჩემ სულში ბუნებამ რწმენის ძრიელი ნიჭი ჩანერგა. ნახევარი ჩემი სიცოცხლე ატეისტთა და ნიგილისტების ჯგუფს შევწირე, მაგრამ ურწმუნოდ არც ერთი საათი არ გამიტარებია. კაცს ნიჭი პატარაობიდანვე გამოუჩნდება ხოლმე: მეც ნიჭი ჯერ კიდევ იმ დროს აღმომიჩნდა, როცა მაგიდის ქვეშ ზეზედგომილა დავდიოდი. დედა ჩემს ძალიან უყვარდა, როცა ბავშვი ბევრსა სჭამდა. მახსოვს, როცა პურს მაჭმევდა ხოლმე, მეუბნებოდა; „ჭამე! ცხოვრებაში უმთავრესი წვენია!“ მეც მწამდა, ამ წვენს დღეში ათჯერ ვჭამდი და ვეშაპივით, გულ-წასვლამდე, ვძღებოდი. გამზრდელი ზღაპრებს მიამბობდა, მეც მაჯლაჯუ-





ტიბეტელები მთიდან ქვებს უშენენ ინგლისელთ

მამა ჩემს საწამლავი მოვპარე, პურს მოვაყარე და ჭერზე ავიტანე, მაჯლაჯუნები შესჭამენ და დაიხოცებიან მეთქი. მაგრამ როცა კითხვა და წაკითხულის გაგება ვისწავლე, ღმერთო, რა არ დამემართა! ამერიკაშიაც გავიქეცი, ყაჩაღადაც გავარდი, ბერად შესვლაც ვითხოვე და ბიჭ-ბუჭებიც დავიქირავე, ქრისტესათვის მაწამეთ მეთქი. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ჩემი რწმენა მკვდარი კი არა, მოძრავი და ცოცხალი იყო. ამერიკაში მარტო კი არ გავიქეცი, არამედ რამდენიმე ჩემისთანა სულელი ავიყოლიე და ძალიან მიხაროდა, როცა ქალაქ გარედ ვიყინებოდი და მეორე დღეს როზგით მცემდნენ. როცა ყაჩაღად გავვარდებოდი ხოლმე, შინ უეჭველად თავპირდამტვრეული ვბრუნდებოდი. უნდა გითხრათ, ახალგაზრდობაში ძალიან მოუსვენარი ვიყავი! როცა გიმნაზიაში მიმაბარეს, სადაც ათასგვარ ჭეშმარიტებით გამბერეს, სადაც, სხვათა შორის, მასწავლეს, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, რომ თეთრი ფერი თეთრი კი არ არას, არამედ შვიდ ფერისაგან შესდგება, სუ თავსრეტი დამეხვია! ყველაფერი ამერია: ნავინიც, რომელმაც მზე შეაყენა, დედაჩემიც, რომელიც წინასწარმეტყველ ილიას სახელით მეხის ასაცდენს უარჰყოფდა, მამაც, რომელიც გულგრილად უყურებდა იმ ჭეშმარიტებებს, რომელნიც მასწავლეს. ჩემმა თვალთახილვამ აღმაფრთოვანა. სახლში, გომში და საჯინიბოებში გიჟივით დავრბოდი, ჩემ ჭეშმარიტებას ვქადაგებდი, სხვის გაუგებრობისა და უვიცობისა გამო თითქმის თავის იიკლადი და სიძულვილისაგან ვიწოდი იმათ

დნენ... მაგრამ ყველა ეს ბავშობა და სისულელეა! სერიოზული, ვაჟკაცური გატაცება უნივერსიტეტში მეწვია. თქვენ, ქალბატონო, გაგითავებიათ სადმე სწავლა?

— ნოვოჩერკასკში, დონის ინსტიტუტში.

— მაშ კურსებზე არა ყოფილხართ? მაშასადამე, არა გცოდნიათ, თუ რა არის მეცნიერება. ყველა მეცნიერებას, რამდენიც კი არსებობს ქვეყანაზე, აქვს ერთი და იგივე პასპორტი, ურომლისოდაც იმას თავისი არსებობა შეუძლებლად მიაჩნია. მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი! ყოველ მათგანს, თვით ფარმაკოგნოზიასაც კი, თავის მიზნად სარგებლობის მოტანა, ცხოვრების უკეთესად მოწყობა კი არა აქვს, არამედ ჭეშმარიტება. საკვირველია! როცა რომელიმე მეცნიერების შესწავლას იწყობთ, თავდაპირველად იმის დასაწყისი გაოცებთ. უნდა მოგახსენოთ, რომ არაფერი არ არის ისე გამტაცებელი და დიადი, კაცის სულს ისე არაფერი არ იტაცებს და აფრთოვანებს, როგორც რომელიმე მეცნიერების დასაწყისი. პირველ ხუთ-ექვს ლექციის შემდეგვე კაცს ბრწყინვალე იმედები ფრთებს უსხამენ და ჰგონია, რომ უკვე ჭეშმარიტების პატრონია. მეც ეს მეცნიერებანი ისევე ძლიერ და სავსებით შევიყვარე, როგორც საყვარელი ქალი. იმათი მონა ვიყავი და იმათ გარდა ჩემთვის სხვა მზე აღარ არსებობდა. დღე და ღამ წელში მოხრილი ვიყავი, ვსწავლობდი, წიგნების ყიდვით გავკოტრდი და როცა ვხედავდი, რომ ხალხი მეცნიერებით პირად ინტერესისათვის სარგებლობს, ცხარე ცრემლით ვტიროდი. მაგრამ ამით დიდის ხნით არ ვიყავ გატაცებული. საქმე იმაშია, რომ ყოველ მეცნიერებას დასაწყისი აქვს, ბოლო კი არა. ზოოლოგიამ 35,000-ნაირი მწერი აღმოაჩინა, ქიმიაში 60 მარტივი საგანი ითვლება. თუ ერთ დროს ამ რიცხვებს მარჯვნივ ათ-ათი ნოლი მოემატება, ზოოლოგიისა და ქიმიის დასასრული ისევე შორს იქნება, როგორც ეხლა. ეხლანდელი მეცნიერება კი მხოლოდ იმის ცდაშია, რომ ბოლოში ნოლები უმატოს ხოლმე. ეს ჯადოქრობა მაშინ გავიგე, როცა მე-35,001 მწერი აღმოვაჩინე, მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდი.

ასე და ამ რიგად, ამ მეცნიერებისადმი რწმენის დაკარგვა ვერ მოვასწარი, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ახალმა რწმენამ შემიპყრო. მივყე ხელი ნიგილიზმს, და ამისათვის საჭირო პროკლამაციებსა და ათას ნაირ ოინებს. ხალხშიაც დავდიოდი, ქარხანაშიც ვმუშაობდი, ზეინკლადაც ვიყავი, ბურლაკიც კი გავხდი. მერე როცა რუსეთში ხეტიალის დროს რუსეთის ცხოვრებას ვუსუნე, ამ ცხოვრების ცხარე მომხრე გავხდი. ისე მიყვარდა რუსის ხალხი, რომ იმის



უაზახთა სადარაჯო რაზმი იაპონელთ თოფს ესვრის.

ტანჯვით მე ვიტანჯებოდი. მიყვარდა და მრწამდა იმის ღმერთი, ენა და ნამუშავარი. თავის დროზე სლავიანოფილი ვიყავი,



საქველმოქმედო ბაზარი დაჭრილთა სასარგებლოდ (ტოკიოში).

არქეოლოგიც, სახალხო ნაწარმოების შემკრებიც... ვიყავი, გატაცებული ვიყავი იდეიებით, ხალხით, ისტორიით, ადგილებით... განუწყვეტლივ გატაცებული ვიყავი! ხუთის წლის წინად საკუთრების უარყოფას ვემსახურებოდი, ჩემი უკანასკნელი რწმენა სიბოროტის წინ მორჩილება იყო.

საშამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოიოხრა და გაიჩუჩუნა. ლიხარიოვი წამოდგა და მიუახლოვდა.

— ჩემო გვრიტო, ჩაი ხომ არ გინდა?—ალერსით ჰკითხა.

— შენ თვითონვე დალიე!—მკვახეთ მიუგო ქალმა. ლიხარიოვს შერცხვა და დამნაშავის ნაბიჯით მაგიდასთან დაბრუნდა.

მაშ მხიარულად გაგიტარებიათ თქვენი ცხოვრება,—უთხრა ილოვასკაიამ, მოსაგონებელი კი ბევრი გაქვთ.

— როგორ არა, ყველა ეს სამხიარულოა მაშინ, როცა კეთილ მოსაუბრესთან ზიხარ, ჩაისა სვამ და ლაპარაკობ, მაგრამ ერთი მკითხეთ, რა დამიჯდა ეს სიმხიარულე? რა დამიჯდა სხვადასხვაობა ცხოვრებაში? მე, ჩემო ქალბატონო, ისე კი არა მწამდა, როგორც ფილოსოფიის დოკტორს ნემეცს, როგორც ცირლიხ-მანირლიხს, უდაბნოში კი არ ვცხოვრობდი, არამედ ყოველი ჩემი რწმენა რკალივით მღუნავდა, ტანს ნაწილ-ნაწილად მიგლეჯდა. თქვენვე განსაჯეთ: ჩემ ძმებსავით მდიდარი ვიყავი, ეხლა კი მათხოვარა ვარ. გატაცებულმა ჩემი საცხოვრებელიც დავკარგე, ცოლისაც, სხვის ფულიც. ეხლა 42 წლისა ვარ, სიბერე ცხვირზე მაზის, მეკი ისევე უქერო ვარ, როგორც ის ძაღლი, რომელიც ღამე ურმებს ჩამორჩა. მთელ ჩემ ცხოვრებაში არც ერთხელ არ მიგემებია სიწყნარე, დასვენება. ჩემი სული განუწყვეტლივ იწოდა, იმედებით იტანჯებოდა, მძიმე და დაულაგებელ შრომისაგან ვკვდებოდი, ყოველგვარ დანაკლისს ვითმენდი, ხუთიოდეჯერ ციხეში ვიჯექი, არხანგელსკისა და ტობოლსკის გუბერნიებში დავეხეტებოდი... მოგონებაც კი მტანჯავს! ვცხოვრობდი, მაგრამ გატაცებული ცხოვრების თვით პროცესს არა ვგრძნობდი. გჯერათ თუ არა, არც ერთი გაზაფხული არ მახსოვს, არ ვხედავდი ჩემი ცოლის ჩემდამი სიყვარულს, არც კი შევნიშნე ჩემი შვილების დაბადება. აბა, რაღა გითხრათ? ყველას, ვისაც კი ვუყვარდი, უბედურება მივაყენე. დედაჩემი 15 წელიწადია მგლოვობს, ჩემმა ძმებმა კი, რომელთაც ჩემი გულისთვის გული სტკიოდათ, წელში იხრებოდნენ, წითლდებოდნენ, ფულს ჰფანტავდნენ, ბოლოს საწამლავივით შემიძულეს.

ლიხარიოვი ადგა და ისევ დაჯდა.

— მე რომ მხოლოდ უბედური ვიყო, ღმერთს მადლობას გადავუხდიდი,—კუთხეში ცქერით განაგრძო იმან.—ჩემი პირადი უბედურება აღარა სჩანს მაშინ, როცა მაგონდება, რომ ჩემ გატაცების დროს ძალიან ხშირად სულელი, უსამარ-

ჩემის არსებით მძულდა და მეზიზღებოდა ის, ვინც მხოლოდ სიყვარულის ღირსი იყო. მოლა, ლატე ათასჯერ ვყოფილვარ. ერთ დღეს მწამდა ღმერთი, მუხლს ვიდრეკდი, მეორე დღეს კი მშიშარასავით გავრბოდი გუშინდელ ჩემ ღმერთებისა და მეგობრებისაგან, რომელნიც „საზიზღარსა“ და „უპატიოსნო კაცს“ მაყოლებდნენ უკან; მე ამ სიტყვებს ჩუმად, ხმაამოუღებლივ ვყლაპავდი. ღმერთია მოწამე, რომ ძალიან ხშირად ჩემ გატაცებებისა გამო მიტირნია და ბალიში მიღრღნია. მთელ ჩემ სიცოცხლეში განზრახ არც ერთხელ არ მიცრუვნია, არც ერთხელ სიბოროტე არ ჩამიდენია, მაგრამ მაინც წმინდა სინიდისი არა მაქვს! მე ვერც კი დავიკვეხებ, რომ კაცის მკვლელი არა ვარ, რადგანაც ჩემ თვალ წინ მოკვდა ჩემი ცოლი, რომელსაც ჩემის დაუდევრობით სული ამოვაცალე. დიაღ, ჩემი ცოლი! ეხლა ცხოვრებაში ქალების შესახებ საზოგადოებრივი აზრი ორად არის გაყოფილი: ზოგნი ქალის თავის ქალას ზომავენ, რათა დაამტკიცონ, რომ ქალი მამაკაცზე დაბლა სდგას. იმათ ნაკლულევანებას ეძებენ, რომ ამით ისინი დაამცირონ, იმათ თვალწინვე თავისებურობა გამოიჩინონ და თავიანთი პირუტყვობა გაამართლონ. მეორენი კი მთელ თავის ძალღონით სცდილობენ ქალი თავისს სწორად გაიხადონ ე. ი. შეასწავლონ 35,000 მწერი და იგივე სისულელე ალაპარაკონ და აწერინონ, რაგვარ სისულელესაც თვითონ სწერენ და ლაპარაკობენ.

ლიხარიოვს პირსახე მოეღუშა.

— მეკი გეტყვით, რომ ქალი ყოველთვის მამაკაცის მონა იყო და შემდეგშიაც იქნება,—ბოხის ხმით და მაგიდაზე მუ-




პორტ-არტურთან ბრძოლაში დაღუპულ გმირის ხიროზეს გვამის ნაწილების დასაფლავება ტოკიოში.

შტის დარტყმით წამოიძახა იმან.—ქალი ის რბილი და ნაზი

თებდა, რაც კი უნდოდა. ღმერთო ჩემო, მამაკაცებით უფასო გატაცების გულისთვის ქალი თმას იკრეჭავდა, ოჯახს თავს ანებებდა, სადღაც გადაკარგულ მხარეში კვდებოდა. იმ იდეების შორის, რომლებისთვისაც თავს სწირავდა, არც ერთი ქალური იდეია არ იყო. ქალი მტკიცე და ერთგული მონაა! ქალის თავის ქალა არ გამიზომია, მაგრამ ყველა ეს საშინელ და მწარე გამოცდილებიდან ვიცი: ყველაზე თვითნება და ამაყი ქალები, თუ კი როგორმე მოვახერხებდი და ჩემ გატაცებას იმათ გადავცემდი ხოლმე, უკითხავად, უსიტყვოდ და თავგანწირვით უკან მომდევდნენ და რასაც კი ვეტყოდი, ყველაფერს ასრულებდნენ. მონაზონი ნიგილისტკად ვაქციე, რომელმაც, როგორც მერე გავიგე, ჟანდარმს რევოლვერი ესროლა. ჩემ ხეტიალის დროს ჩემმა ცოლმა ერთის წუთითაც კი არ დამტოვა და თავის რწმენას ისე იცვლიდა და ჩემ რწმენას ისე უფარდებდა, როგორც მე ჩემ გატაცების საგნებს ვიცვლიდი ხოლმე.

ლიხარიოვი წამოხტა და სიარული დაიწყო.

— კეთილშობილური, ამაღლებული მონობა!—ხელების ქნევით განაგრძო მან.—სწორედ აი ამაშია ქალის ცხოვრების დიდებული აზრი! ამ საშინელ არეულობიდან, რომელიც მას აქეთ, რაც ქალებს ვიცნობ, თავში გამიჩნდა, ჩემ გონებაში, როგორც საწურავში, იდეიები, ღრმა სიტყვები და ფილოსოფია კი არ დარჩა, არამედ ბედის წინ ქედის მოხრა, დამორჩილება, საოცარი მოწყალება, ყოველივეს პატიება.

ლიხარიოვმა მუშტები მოკუმშა, ერთ წერტილს დააცქერდა და აღფრთოვანებით, თითქოს ყოველ სიტყვას სწუწნისო, კბილების მოჭერით გამოსთქვა:

— ეს... ეს დიდ სულოვნური მოთმენა, საფლავამდე ერთგულობა, გულის პოეზია... ცხოვრების აზრი აი, სწორედ ამ უსიტყვო ტანჯვაშია, ცრემლებშია, რომელნიც ქვასაც კი აღნობენ, უსაზღვრო, ყოველივეს პატიების სიყვარულშია, რომელსაც ცხოვრების ხაოსში სიცხოველე და სინათლე შეაქვს...

ილოვაისკაია ნელა წამოდგა, ლიხაროვისაკენ ერთი ნაბიჯი გადადგა და სახეში ჩააშტერდა. ლიხაროვის წამწამებზე მოკრიალე ცრემლებიდან, იმის მოკანკალე, აღფრთოვანებულ ხმიდან, დაწითლებულ ლოყებიდან ილოვაისკაიამ ნათლად დაინახა, რომ ქალები ლაპარაკის უბრალო და შემთხვევითი საგანი არ იყო. ლიხაროვისთვის ქალები ახალ გატაცებასა, ან, როგორც თვითონ ამბობდა, ახალ რწმენას შეადგენდნენ, ილოვაისკაია მთელ თავის სიცოცხლეში გატაცებულსა და ცხარეთ მორწმუნე კაცს პირველად ჰხედავდა. ლიხაროვი თავის მიმიკით, ხელების ქნევითა და თვალების ბრწყინვით იმას გაგიჟებულ, ჭკვიდან შეშლილ კაცად ეჩვენებოდა. იმის თვალებიდან გამონაკვეს ნაპერწკლებში, ლაპარაკში და დიდ ტანის მთელ მოძრაობაში იმოდენა სილამაზე იხატებოდა, რომ ილოვაისკაია თავისდა უნებურად ლიხარიოვის წინ გაშეშებულივით იდგა და აღფრთოვანებული სახეში შეჰყურებდა.

— აი, თუნდ დედაჩემი აიღეთ!—ილოვაისკაიასაკენ ხელების გაშვერითა და თითქოს ხვეწნით ამბობდა ლიხარიოვი. დედა ჩემს სიცოცხლე მოვუწამლე, იმის აზრით ლიხარიოვების გვარი შევარცხვინე და დედას იმდენი უბედურება მივაყენე, რამდენის მიყენება მხოლოდ უკიდურეს მტერს შეეძლო. მერე იცით რას შვრება? ჩემი ძმები სეფისკვერისა და პანაშვიდებისათვის რაღაც გროშებს აძლევენ, ის კი თავის სარწმუნოებრივ გრძნობას ძალას ატანს, ამ ფულს აგროვებს და თავის გარყვნილ გრიგორის უგზავნის! მარტო ამ წვრილმანს სულის აღზრდა და გაკეთილშობილება უფრო მეტად შეუძლიან, ვიდრე ყველა თეორიებს, ბრძნულ სიტყვებს, 35,000 მწერს! ათასი მაგალითის მოყვანა შემიძლიან: აი, თუნდ თქვენი თავი აიღოთ! გარეთ ღამეა, ქარბუქია, თქვენ კი ძმასთან და მამასთან მიდიხართ, გინდათ ამ უქმე დღეს მოუალერსოთ, მოუაროთ, თუმცა კი ისინი თქვენზე იქნება არც კი ჰფიქრობენ, იქნება დაგივიწყეს კიდევაც; მაგრამ დაიცადეთ, ვინმე კაცი შეიყვარეთ და ნახავთ, თუ იმის გულისთვის ჩრდილოეთ პოლიუსზე არ წახვიდეთ! ხომ წახვალთ?

— წავალ, თუ... შევიყვარე.

— აი, ხომ ხედავთ!—გაუხარდა ლიხარიოვს და იატაკს ფეხიც კი დაარტყა.—ღმერთმანი, ძალიან მიხარიან, რომ გაგიცანით! ძალიან კარგი ბედი მაქვს, ყოველთვის მშვენიერ ადამიანს შევხვდები ხოლმე. ყოველ დღე ისეთ კაცებს გავიცნობ ხოლმე, რომ იმათ გულისთვის სულს გავყიდიდი. ამ ქვეყანაზე კეთილი გულის კაცები ბოროტებზე გაცილებით უფრო მეტია. აი, ხომ ხედავთ, მე და თქვენ ისე გულახდილად და გულიანად მოვილაპარაკეთ, თითქოს ერთმანეთს ას წელწადს ვიცნობდეთ. ზოგჯერ, უნდა მოგახსენოთ, ათ წლობით თავს ვიმაგრებ ხოლმე, ხმა გაკმენდილი მაქვს, მეგობრებსა და ცოლს ყველაფერს ვუმალავ, მაგრამ უცებ ვაგონში კადეტს შევხვდები და მთელ გულს გადვუშლი ხოლმე. აი, მაგალითად თქვენ: პირველად გხედავთ, მაგრამ თქვენს წინაშე იმდენი ცოდვა მოვინანიე, რომ ამდენი არასდროს არ მომინანიებია. მერე რა მიზეზია?

ლიხარიოვმა ხელების ფშვნეტითა და მხიარულის ღიმილით ოთახში გაიარ-გამოიარა და ისევ ქალებზე დაიწყო ლაპარაკი. ეკლესიაში ცისკარზე დარეკეს. ა. მ.

(დასასრული იქნება).



მოწყალენო ქალბატონებო! ჩვენ უნდა მეორედ გავთხოვდეთ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პრინციპიალური მომხრენი ვართ ქორწინებისა, რადგან აგეთივე მომხრენი ვართ გაყრისა; მეორე იმიტომ, რომ მეორე ქმარს ვაპატიოთ ყველა ის უსამართლობა, რომელიც პირველთან ჩაგვიდენია; მესამე—ჩვენ მეგობრებთან დამოკიდებულებას როგორმე კანონიერი ხასიათი უნდა მივცეთ, და მეოთხე—ქვეყანამ უნდა იცოდეს, რა სახელი ჰქვია ჩვენი შვილების მამას! ხელი ხელს მივცეთ და დავძახოთ: „ძირს ძველი კანონიერი უფლება, რომელიც იმ მოსაზრებაზე იყო დამყარებული, ვითომ ერთ ქმარს შეეძლო ჩვენი გაძლება.“



— იცი, ემმა? გუშინ ჩემმა ქმარმა შემოგვასწრო მე და ბარონ რუდის!

— მერე?

— არაფერი; ვაპატიე ჩემ ქმარს უზრდელობა, ასე მოულოდნელად რომ შემოვიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.